ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4445057

ნომერი: AR1656129

თარიღი : 02.04.2019

გაცემის თარიღი : 10.04.2019

გაცნობის თარიღი : 16.04.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მშრალი ხიდის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ თავართქილაძე პ/ნ 01015004708
- თბილისი ვერცხლის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის

ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), ახვლედიანის ქ. N30-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ განსახილველ ტერიტორიაზე (ს/კ № 01.18.03.004.002), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის'' გრაფიკული ნაწილის, რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა. დანართი 1-ის მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2-ში რესტორნის ფუნქციის შენობა-ნაგებობა განეკუთვნება განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-1) განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:

კ-1
0,2
კოეფიციენტი
კ-2
-
კოეფიციენტი
კ-3
0,8
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
10/1**
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
1000*
კვ.მ
მინიმალური სიგანე
-
მეტრი
მინიმალური სიღრმე
-
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
12**
მეტრი
შენიშვნა
* 2019 წლის 1 აპრილიდან დაყოფის (გამიჯვნის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის
**ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში
*** ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული შენობებისთვის

ვინაიდან ზემოთ ხსენებულ ზონაში რესტორანი განეკუთვნება განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას ,

პირველ ეტაპზე უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და მოიპოვოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება - სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემასთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

დამატებით გთხოვთ გაითვალისწინოთ - იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს მხოლოდ დაშენებას და არა სხვა სახის რეკონსტრუქციას, მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო არაა პირველი სტადიის (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დადგენა) გავლა. პირველი სტადიის გავლაში არ იგულისხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რაც შენობის რესტორნის ფუნქციით გასავითარებლად აუცილებელი პირობაა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.